



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #008/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი ჩიკვილაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

თუ კლიენტი ადვოკატს აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, უყენებს აბსურდულ ბრალდებას და ადანაშაულებს არაინფორმირებულობაში, არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებაში, შეუძლია თუ არა ადვოკატს, საქმის წარმოების მიმდინარეობისას, შეწყვიტოს კლიენტთან ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა უკვე გადახდილი აქვს?

ანალიზი

ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის მომზადებისას იხელმძღვანელა აპეკ-ის 8.7, 8.15 მუხლებით, უზენაესი სასამართლოსა და ეთიკის კომისიის პრაქტიკით. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მართლაც მიაყენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა ადვოკატს, ადვოკატს შეუძლია თქვას უარი მომსახურების გაწევაზე, მაგრამ აუცილებელია ხელშეკრულებაზე უარის დროს დაიცვას ის გონივრული დრო, რაც მხარეს მისცემს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში არ შეეზღუდოს ადვოკატის ყოლის უფლება. გონივრული დროის განსაზღვრება უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, რადგან შემდგომ ადვოკატს ჰქონდეს შესაბამისი ვადები იმისათვის, რომ შეძლოს საქმის წარმოებაში სრულფასოვანი ჩართულობა. კლიენტის საქმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ გონივრული ვადის განსაზღვრა, რაც ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს ისე, რომ თავიდან იქნება აცილებული კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. რაც შეეხება ჰონორარს, ვინაიდან, მომსახურება სრულად არ განხორციელებულა და ადვოკატს მიღებული აქვს ჰონორარი სრულად, ადვოკატი ვალდებულია გამოუმუშავებელი ჰონორარი დაუბრუნოს კლიენტს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორი. ჰონორარიც რეკომენდირებულია განისაზღვროს იმ წესით, რომ საქმის წარმოების შეწყვეტისას არ იყოს სადაო, თუ რამდენი გამოიმუშავა ადვოკატმა უკვე განხორციელებული მომსახურებით. ასევე, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების სტანდარტულ პირობებში გადახდილი თანხების დაუბრუნებლობის თაობაზე შეთანხმება ბათილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი რეგულაციით. ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია, როდესაც კლიენტს აქვს საკმარისი დრო ადვოკატის ასაყვანად. მარტივი კატეგორიის საქმეებზე გონივრული დრო შეიძლება იყოს 2 კვირა, თუმცა რთული კატეგორიის საქმეებზე გაცილებით მეტი ვადა შეიძლება იყოს საჭირო, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს. ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესრულებული სამუშაოს პროპორციულად მიღებული ჰონორარის გამოთვლისთვის, რეკომენდირებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული იყოს სამუშაო დროით ან მომსახურების ყოველი კონკრეტული ეტაპისთვის ჰონორარის ოდენობა, რაც თავიდან ააცილებს მხარეებს შესაძლო დავებს.

დასკვნა

ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატს შეუძლია უარი თქვას კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაზე, თუმცა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ვალდებულია დაიცვას გონივრული ვადა და კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

¹ <https://gba.ge/pdf/5e28057a8322d.pdf/008.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf>